



თბილისის გემტალტ ინსტიტუტის ეთიკის კოდექსი:

1. ძირითადი დებულებები

- A. წინამდებარე ეთიკის კოდექსი არეგულირებს გემტალტ-თერაპევტის მუშაობასთან, და გემტალტ-თერაპევტსა და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს.
- B. გემტალტ-თერაპევტი პასუხისმგებელია წინამდებარე ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დებულებების, როგორც მინიმალური სავალდებულო მოთხოვნების აღიარებასა და პრაქტიკულ დანერგვაზე.
- C. გემტალტ-თერაპევტი პასუხისმგებელია მისი პროფესიული საქმიანობის წარმართვასა და სამუშაოს ორგანიზებაზე წინამდებარე ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კომპეტენცია

- A. გემტალტ-თერაპევტი განახორციელებს მხოლოდ ისეთ საქმიანობას, რომლის კომპეტენციაც მას მისივე შეფასებით გააჩნია, ან თუ მან იცის, რომ მას გააჩნია ისეთი კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება კლიენტის სასარგებლოდ განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები.
- B. სამუშაო პროცესში გემტალტ-თერაპევტის მიერ საკუთარი კომპეტენციის შეზღუდვების აღმოჩენა ნიშნავს, რომ მან უნდა, ან გადაამისამართოს კლიენტი სხვა პროფესიონალთან, ან თავად სცადოს სხვა პროფესიონალთან კოლაბორაცია, მათ შორის, სუპერვიზიის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს არის კლიენტთან არსებული თავდაპირველი კონტრაქტის გადასინჯვა. კლიენტთან მუშაობის გაგრძელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კომპეტენციის შესაბამისი გაუმჯობესების შემდეგ.
- C. გემტალტ-თერაპევტი ყურადღებით ამოწმებს, თუ რამდენად საკმარისია მისი კომპეტენცია კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე ფსიქოთერაპიული პროცესის წარმართვისათვის. თუ გემტალტ-თერაპევტი განსაზღვრავს, რომ კონტექსტუალური ველი, მისი სტრუქტურა, საზღვრები, და ველში დომინანტური მიზნები რაიმე ფორმით ეწინააღმდეგება ან ზღუდავს მისი კომპეტენციის სრულ გამოყენებას კლიენტთან მუშაობის პროცესში, მაშინ გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია თავი შეიკავოს ამ სამუშაო პროცესის გაგრძელებისგან.
- D. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია მოიძიოს მხარდაჭერა და მეტად გაერკვეს პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებულ სირთულეში მისი გამოცდილი კოლეგების დახმარებით, ინტერვიუების ფორმით.
- E. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია მიიღოს ინდივიდუალური ან ჯგუფური სუპერვიზია, იმისდა მიხედვით თუ რომელი სუპერვიზიული ფორმაა მისთვის მეტი მხარდაჭერისა და კომპეტენციის მომტანი.



- F. გემტალტ-თერაპევტი ანვითარებს კავშირებს სხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებთან და დაწესებულებებთან (როგორცაა კლინიკები) იმისათვის, რომ მიუწვდებოდეს ხელი აუცილებელ დიაგნოსტიკურ და თერაპიულ სერვისებთან და შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის დაკავშირება მათთან.
- G. გემტალტ-თერაპევტი იცავს საკუთარ სამუშაოს და პროფესიას ზოგადად ნებისმიერი არასათანადო ქმედებისგან, პროექტისგან და პროცედურისგან (ლექციები, ინტერვიუ, საჯარო გამოსვლები, მედია, სემინარები), რომლებიც ეწინააღმდეგება იმ პროფესიულ სტანდარტებს, რომელსაც გემტალტ-თერაპევტი ემხრობა.
- H. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია მიიღოს ინდივიდუალური თერაპია საკუთარ ფსიქოთერაპიულ მნიშვნელოვანი ცვლილებების და პრობლემების არსებობის შემთხვევაში, როგორცაა პირადი კრიზისი, გადაწვის ნიშნები, კლიენტთან საზღვრების შენარჩუნების სირთულე, მათ შორის ინტიმური ან სექსუალური ხასიათის.
- I. თერაპიულ პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ისეთი მეთოდოლოგიური და ტექნიკური მიდგომა, რომელიც ემსახურება კლიენტის განვითარების მიზნებს მასთან არსებული კონტრაქტის შესაბამისად. გემტალტ-თერაპევტი აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ტიპის გათამაშება, განსაკუთრებით კი ექსპრესიული და კათარზისული ხასიათის გათამაშება, საჭიროებს შემდგომ დე-დრამატიზაციას, დეტალური და ფრთხილი სამუშაო პროცესის საშუალებით.
- J. საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს, გემტალტ-თერაპევტი მუშაობს საკუთარი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციის გაფართოვება-გადრმავეებაზე. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია შეინარჩუნოს ღიადობა მნიშვნელოვანი ცვლილებებისადმი, რომლებიც ზემოქმედებენ ამ პროცესზე, იმისდა მიუხედავად ხდება ეს გემტალტ თერაპიის სფეროში თუ ფსიქოთერაპიის სხვა სფეროებსა და მიმდინარეობებში, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.
- K. გემტალტ-თერაპევტი სიფრთხილით ინახავს დოკუმენტაციას, რომელიც უკავშირდება კლიენტის დიაგნოსტიკურ ან თერაპიულ პროცესს, და ითვალისწინებს ადგილობრივ რეგულირებებს დოკუმენტაციის შენახვის ვადისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ. დოკუმენტაციის სიფრთხილით წარმოება ნიშნავს ადგილობრივ ფსიქოთერაპიულ რეგულაციებთან შესაბამისობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
3. **კონფიდენციალობა**
- A. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია გემტალტ-თერაპევტსა და კლიენტს შორის არის კონფიდენციალური, წინამდებარე ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის, „გამონაკლისი გარემოებების“ გათვალისწინებით.



- B. კლიენტის პირადი მონაცემების, მათ შორის შემთხვევის აღწერის ჩანაწერების წარმოება რეგულირდება ადგილობრივი საკანონმდებლო და პროფესიული ნორმებით.
- C. გემტალტ-თერაპევტი სათანადო სიფრთხილით იცავს კლიენტის მონაცემებს მისი პირადი იდენტიფიცირების შესაძლებლობისგან, ასევე ამ ინფორმაციის გავრცელებისგან ნებისმიერი ურთიერთგადამფარავი კავშირების არხებით, როგორცაა სუპერვიზია.
- D. იმ შემთხვევაში, თუ გემტალტ-თერაპევტს სურს კლიენტთან სამუშაო პროცესში მიღებული სპეციფიური ინფორმაციის გამოყენება ლექციის ან პუბლიკაციისთვის, მან ჯერ უნდა მოიპოვოს კლიენტის ან მისი იურიდიული წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა და მკაცრად დაიცვას სახელთან და პირად მონაცემებთან დაკავშირებული ანონიმურობა, ევროპის გემტალტ თერაპიის ასოციაციის ეთიკის კოდექსის და გასაჩივრების პროცედურების მოთხოვნების შესაბამისად.
- E. იმ შემთხვევაში, თუ გემტალტ-თერაპევტს სურს კლიენტის შემთხვევის სპეციფიური მასალის გამოყენება შემთხვევის ანალიზის წარსადგენად, ანგარიშში ჩასართავად თუ გამოსაცემად, მან ჯერ უნდა მოიპოვოს კლიენტის ან მისი იურიდიული წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა, როდესაც ეს შესაძლებელია, და დაიცვას კლიენტის ანონიმურობა.
- F. კლიენტის მონაცემების ვიდეო, ფოტო, აუდიო და სხვა ნებისმიერი სახის ჩანაწერი უნდა შენახულ იქნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კლიენტის კონფიდენციალობისა და ანონიმურობის უზრუნველყოფის მიზნით.
- G. გარე, კერძო ან საჯარო ინსტიტუციების, როგორცაა სასამართლო, სადაზღვევო კომპანიები, და სხვ., მიერ კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში გემტალტ-თერაპევტი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ დროს, გემტალტ-თერაპევტი უკავშირდება კლიენტს და წარმართავს კლიენტთან კომუნიკაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თერაპიული პროცესისთვის მაქსიმალურად სასარგებლო ფორმით.
- H. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი წარმოადგენს არასრულწლოვანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გემტალტ-თერაპევტი ითვალისწინებს ყველა ზემოთ მოცემულ მოთხოვნას. ამასთან, გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული იურიდიული და პროფესიული რეგულაციები არასრულწლოვანთან მოპყრობის თაობაზე, მათ შორის ინფორმაციის გადაცემა არასრულწლოვანის მიმართ არასათანადო მოპყრობის ან არასათანადო მოპყრობის რისკის შესახებ.
- I. იმ შემთხვევაში, თუ გემტალტ-თერაპევტს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი კლიენტის ან მისი გარემოცვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია დასაბუთებულად ჩაითვალოს გემტალტ-თერაპევტის გადაწყვეტილება დაარღვიოს კონფიდენციალობა და გადასცეს ინფორმაცია



იმ ოფიციალურ პირებს ან პროფესიონალებს, რომელთაც შეუძლიათ ჩარევა და სავარაუდო საფრთხის ან რისკის აღმოფხვრა. კლიენტი უნდა იყოს ინფორმირებული ამგვარი ქმედების შესახებ.

4. კლიენტთან კონტრაქტის გაფორმება

- A. ნებისმიერი შეთანხმება გემტალტ-თერაპევტსა და კლიენტს შორის წარმოადგენს ორმხრივ კონტრაქტს, იმისდა მიუხედავად წერილობითი თუ ზეპირი ფორმით არის შემდგარი.
- B. კლიენტთან თერაპიული კონტრაქტის შეთანხმების პროცესში გემტალტ-თერაპევტი გარკვევით და ღიად წარადგენს ინფორმაციას საკუთარი კომპეტენციის, ექსპერტიზის და გამოცდილების შესახებ.
- C. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია განახორციელოს კლიენტის რეგისტრაციის პროცედურა ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.
- D. ნებისმიერი ჩანაწერი, გადაღება ან დაკვირვება თერაპიული სესიის დროს წინასწარ უნდა შეთანხმდეს კლიენტთან და ჩაითვალოს თერაპიული კონტრაქტის ნაწილად.
- E. კონტრაქტი კლიენტთან, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, ცალსახად უნდა განსაზღვრავდეს გადასახადის ოდენობას, გადახდის გრაფიკსა და ფორმას, თერაპიული სესიების ადგილს, შესვენებებისა და კლიენტის ან გემტალტ-თერაპევტის მიერ კონტრაქტის შეწყვეტის წესებს. ამის მაგალითია წინასწარი შეთანხმება ოფიციალური დღესასწაულების დროს შესვენების თაობაზე, ან დროებითი შეჩერება სხვა პროფესიული ვალდებულებებიდან გამომდინარე, ან ავადმყოფობასთან დაკავშირებით, და სხვა. თერაპიის ხანგრძლივობა, კლიენტის გადამისამართების საჭიროება და კონტრაქტის შეწყვეტის პირობები წინასწარ განიხილება კლიენტთან და მას უთანხმდება.
- F. პირადი კრიზისის ან ფიზიკური ავადმყოფობის შემთხვევაში, გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია ჩაერთოს სუპერვიზიაში პროფესიული ურთიერთობის აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით.
- G. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია თერაპიული ურთიერთობის განმავლობაში თავი შეიკავოს ნებისმიერი კომუნიკაციისიგან სხვა პირთან, აგრეთვე შეფასებებისგან და განცხადებებისგან, ასევე სხვა პირთა შეფასებისგან ან დაინტერესებისგან, იმისდა მიუხედავად თუ რამდენად ახლო ურთიერთობა აქვს ამ პირს კლიენტთან, კლიენტის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუ მოხდა ასეთი შეთანხმება, ეს გამოიწვევს პირველადი კონტრაქტის შესაბამის გადასინჯვას.

5. რეკლამა

- A. რეკლამა შეზღუდულია აღწერთი სახის დებულებების ფორმამდე, რომლებიც აღწერენ არსებულ მომსახურებას და მომსახურების გამწევი პირის კვალიფიკაციას. რეკლამა არ უნდა მოიცავდეს ყოფილ ან არსებულ კლიენტთა რეკომენდაციებს და შეფასებებს, აგრეთვე შედარებითი ხასიათის დებულებებს, ან სხვა რაიმე სახით მიუთითებდეს მომსახურების



უპირატესობაზე სხვა კოლეგების მიერ, სხვა თერაპიული სკოლების, ან სხვა ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ მომსახურებასთან შედარებით. რეკლამა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და პროფესიული ორგანიზაციებით.

6. უსაფრთხოება

- A. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმისათვის, რომ კლიენტს არ მიაყენოს რაიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი თერაპიული სესიების დროს იმ ფიზიკურ გარემოცვაში, სადაც ტარდება სესიები.
- B. გემტალტ-თერაპევტი უზრუნველყოფს პრივატულობას თერაპიული სესიების დროს ისე, რომ კლიენტის და თერაპევტის საუბარი არავინ მოისმინოს, ან ჩაიწეროს, და არავინ დაინახოს კლიენტი, კლიენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე.

7. გამონაკლისი გარემოებები

- A. შესაძლებელია გამონაკლისი გარემოებებში, გემტალტ-თერაპევტს დასჭირდეს ზომების მიღება კლიენტის ან მისი სოციალური გარემოცვის დასაცავად, თუ ჩათვლის, რომ კლიენტის თვით-კონტროლის უნარი არ მნიშვნელოვნად დაქვეითებული. ასეთ შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირებული თანხმობის მიღების ვალდებულება კონფიდენციალობის დარღვევისა და კონტრაქტის ცვლილების თაობაზე, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
- B. ინდივიდუალური ან ჯგუფური საგანგებო (მაგ., სიცოცხლისათვის რისკის არსებობა, საზოგადოებრივი არეულობა, ომი, ბუნებრივი კატასტროფა, და სხვა.) სიტუაციების დროს, გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია გაითვალისწინოს კონკრეტული შემთხვევის თავისებურებები, და შეინარჩუნოს კლიენტის ანონიმურობა და პროფესიული კონფიდენციალობა, თუ არსებული გარემოებები ამის შესაძლებლობას იძლევა.
- C. გემტალტ-თერაპევტი ვალდებულია დაიცვას კლიენტის ავტონომიურობა და პროფესიული კონფიდენციალობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ფსიქოთერაპია კლიენტის კეთილდღეობასთან დაკავშირებული უფრო ფართო პროცესის ნაწილს წარმოადგენს. განსაკუთრებით, როდესაც ფსიქოთერაპია კლიენტს „ენიშნება“, მაგ., ფსიქოთერაპია საავადმყოფოში, ორგანიზაციაში, არასრულწლოვნების დაწესებულებაში, და ა. შ., მათ შორის ჯანდაცვის სხვა წარმომადგენლებთან გუნში მუშაობის დროს. გემტალტ-თერაპევტი განუმარტვას კლიენტს ამგვარი სპეციფიური კონტრაქტის თავისებურებებს შეთანხმების პირველსავე ეტაპზე, და სამუშაო პროცესში ჩართავს სხვა პირებს/პროფესიონალებს მხოლოდ კლიენტის თანხმობის შემთხვევაში.

7. თერაპევტის საზოგადოებრივი როლის მართვა

- A. გემტალტ-თერაპევტი ფლობს ინფორმაციას იმ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ, რომლებიც ეხება მის პროფესიულ საქმიანობას და მისი



სამუშაო პრაქტიკის ან დაწესებულების საქმიანობას, და ყურადღებით ადევნებს თვალყურს შესაბამისი რეგულაციების ცვლილებებს.

- B. გემტალტ-თერაპევტი თავს იკავებს საჯაროდ ან კერძოდ საკუთარი მომსახურების, პროფესიული განვითარებისა და თვისებების რეკლამირებისგან.
- C. გემტალტ-თერაპევტი თვალყურს ადევნებს საქართველოს პროფესიულ რეგულირებას, რომელიც უკავშირდება საკუთარი თავის წარდგენას კარებთან მიმაგრებულ ფირფიტებზე წარწერების, გაზეთში განცხადებების გამოქვეყნების გზით, სატელეფონი-საინფორმაციო ცნობარებში ან ინტერნეტში ინფორმაციის განთავსების სასუალებით. საზოგადოება არ უნდა შევიდეს შეცდომაში წარმოდგენილი მომსახურები ან კვალიფიკაციის თაობაზე, რამდენადაც ამან შეიძლება შეძლდოს კლიენტის არჩევანი სხვაგან ეძიოს მისთვის საჭირო მომსახურება ან კვალიფიკაცია.
- D. გემტალტ-თერაპევტი არ იკავებს თავს კლიენტისათვის იმ ინფორმაციის გაზიარებისგან, რაც სხვა კოლეგებისგან ან დაწესებულებებისგან დახმარებისა და პროფესიული მომსახურების მიღების შესაძლებლობას ეხება.
- E. გემტალტ-თერაპევტი პატივს სცემს კოლეგებს, როგორც საჯარო, ისე კერძო კომუნიკაციაში, და თავს იკავებს დამაკნინებელი შენიშვნებისგან სხვა თეორიული მოდელების, სკოლების ან სხვა კოლეგების მიმართ.
- F. გემტალტ-თერაპევტი არ დათანხმდება ისეთ საქმეს ან პროექტს, რომელშიც უკვე ჩართულია სხვა კოლეგა, განსაკუთრებით კლიენტსა და სხვა კოლეგას შორის თერაპიული კონტრაქტის არსებობის შემთხვევაში. ექვის შემთხვევაში, გემტალტ-თერაპევტი წარმართავს დიალოგს კოლეგასთან კლიენტის ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ.
- G. გემტალტ-თერაპევტი არ მიიღებს ეკონომიკურ ან სხვა სახის პირად სარგებელს კლიენტების სხვა კოლეგასთან ან დაწესებულებასთან გადამისამართებისთვის.
- H. იმ შემთხვევაში, თუ გემტალტ-თერაპევტისთვის ცნობილი გახდა კოლეგის მხრიდან ისეთი ქმედების შესახებ, რომელიც აკნინებს ფსიქოთერაპიის პროფესიას, ის ვალდებულია დაუპირისპირდეს კოლეგას და/ან მის პროფესიულ ორგანიზაციას.
- I. გემტალტ-თერაპევტი არ ჩაერთვება ისეთ ოფიციალურ ან კერძო საქმიანობაში, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას და წინააღმდეგობაში შევიდეს მისი პროფესიული ქცევის და როლის ეთიკასთან, ან ზოგადად პროფესიის რეპუტაციისთვის იყოს საზიანო.
- J. გემტალტ-თერაპევტი აცნობიერებს ფსიქოთერაპიული სამუშაოს იმ სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს, აგრეთვე კლიენტის კონტექსტში სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებენ კლიენტზე. გემტალტ-თერაპევტი თავს იკავებს ნებისმიერი სახის ზეგავლენისგან კლიენტის პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა



შეხედულებებთან მიმართებაში ისე, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა ადამიანის უფლებების კანონებთან, რეგულაციებსა და პოლიტიკებთან.

- K. გემტალტ ფსიქოთერაპიის მიმართულებით განათლების მიზანია ინფორმაციის მიწოდება მაქსიმალურად ობიექტური და გასაგები ფორმით თეორიული, მეთოდოლოგიური და ტექნიკური მიღწევების შესახებ, როგორც ზოგადად ფსიქოთერაპიის, ისე კონკრეტულად გემტალტ თერაპიის სფეროში. მასწავლებლების პირადი შეხედულებები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ასეთი.
- L. გემტალტ-თერაპევტი ინარჩუნებს სრულ ვალდებულებებს ყოფილი კლიენტების და მიმდინარე სტუდენტების წინაშე.

8. თბილისის გემტალტ ინსტიტუტის ვალდებულებები

- A. არ უნდა შეიქმნას ცრუ მოლოდინები განათლების ოფიციალური აღიარების თაობაზე, როგორც ადგილობრივი სახელმწიფო ორგანიზაციების და არსებული კანონმდებლობის (კანონები, რომლებიც არეგულირებს ფსიქოთერაპიულ განათლებას და „ფსიქოთერაპევტის“ წოდების უფლებას) თვალსაზრისით, ისე ფსიქოთერაპიის ხარჯების ანაზღაურებას ჯანდაცვის სერვისების ან სადაზღვევო კომპანიების მიერ.
- B. თბილისის გემტალტ ინსტიტუტი ვალდებულია შეაფასოს კანდიდატების კვალიფიკაცია, მოლოდინები და ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისობა, და მიაწოდოს მათ სრულად და გასაგები ფორმით, ინფორმაცია სასწავლო პროგრამისა და შიდა რეგულაციების შესახებ.
- C. თბილისის გემტალტ ინსტიტუტი ვალდებულია უზრუნველყოს განათლების მაღალი ხარისხი, როგორც მასწავლებელთა და სუპერვიზორთა სპეციფიური კომპეტენციის თვალსაზრისით, ისე სასწავლო პროგრამასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ის უზრუნველყოფს შიდა კონტროლის არსებობას განათლების ხარისხის შესამოწმებლად, აგრეთვე უზრუნველყოფს სივრცესა და ადგილს სასწავლო მეთოდოლოგიის გაუმჯობესებისა და შედარებისთვის.
- D. ურთიერთობები მასწავლებლებს, სტუდენტებსა და გემტალტ ინსტიტუტს შორის არის გამჭვირვალე და სათანადოდ დოკუმენტირებული იურიდიული ძალის მქონე კონტრაქტების ფორმით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- E. მასწავლებელი გემტალტ-თერაპევტი აცნობიერებს საკუთარი როლის თავისებურებებს სტუდენტებთან ურთიერთობებში, და არ გამოიყენებს ამ როლს საკუთარი ინტერესებისთვის. ისინი განსაკუთრებულად აცნობიერებენ ასეთ ურთიერთობებში დამოკიდებულების, იდეალიზაციის და შეფასების მოლოდინთან დაკავშირებული ფაქტორების მნიშვნელობას. თბილისის გემტალტ ინსტიტუტი უზრუნველყოფს მასწავლებელ-სტუდენტის ურთიერთობების წარმართვის წესებს და წარმოქმნილი პრობლემების განსახილველ სივრცეს.



- F. თბილისის გეშტალტ ინსტიტუტი პერიოდულად შეაფასებს რამდენად აკმაყოფილებს სტუდენტის განათლების დონე არსებულ მოთხოვნებს, და უზრუნველყოფს ამ პროცესის გამჭვირვალე და სტრუქტურირებულ ფორმას.
- G. კლიენტ-თერაპევტის ურთიერთობების მარეგულირებელი ეთიკური პრინციპები და თერაპევტის საზოგადოებრივი როლის მართვის წესები თანაბრად ვრცელდება მასწავლებელ-სტუდენტის ურთიერთობებსა და განათლების სფეროზე (კომპეტენცია, კონფიდენციალობა, ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, კონტრაქტის შეთანხმება და უსაფრთხოება).
- H. სწავლების მიზნით სტუდენტისთვის გეშტალტი თერაპიის ჩატარებისას დაცული მკაცრად უნდა იყოს გამიჯნული როლები; ტრენერი, რომელიც ატარებს თერაპიას სტუდენტთან, არ უნდა მონაწილეობდეს ამ სტუდენტის წინსვლის და შესაფერისობის შეფასების ოფიციალურ პროცედურაში.
- I. თბილისის გეშტალტ ინსტიტუტი უზრუნველყოფს კონტროლს სასწავლო პერსონალის პირადი, დიდაქტიკური, კლინიკური და სამეცნიერო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. დაცული უნდა იყოს მასწავლებელ თერაპევტთა შორის ინფორმაციის პროფესიული გაცვლა, მათი აუცილებელი სუპერვიზია და განგრძობითი სწავლება-განვითარება.
9. **ინტერესთა კონფლიქტი**
- A. იმ შემთხვევაში, თუ გეშტალტ-თერაპევტი აღმოჩნდება სხვადასხვა ან რამოდენიმე ეთიკურ პოზიციასთან და მოთხოვნასთან შორის კონფლიქტში, და თავად ვერ წყვეტს ამგვარ კონფლიქტს, სუპერვიზიის და/ან ინტერვიზიის დახმარებით, ის ვალდებულია მიმართოს თბილისის გეშტალტ ინსტიტუტს და/ან მისი პროფესიული ასოციაციის ეთიკურ კომიტეტს შესაბამისი კონსულტაციების მისაღებად.
10. **სამართალწარმოება**
- A. ნებისმიერი გეშტალტ-თერაპევტი, რომელიც წარმოადგენს ევროპის გეშტალტ თერაპიის ასოციაციის წევრს, და რომელთან მიმართებაშიც მიმდინარეობს სამართალწარმოების საქმე, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს ევროპის გეშტალტ თერაპიის ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.
- B. ორგანიზაციაში მომუშავე ნებისმიერი გეშტალტ რომელიც წარმოადგენს ევროპის გეშტალტ თერაპიის ასოციაციის წევრს, და რომელთან მიმართებაშიც მიმდინარეობს სამართალწარმოების საქმე, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს ევროპის გეშტალტ თერაპიის ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

წინამდებარე ეთიკის კოდექსი შედგენილია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე. გაურკვევლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ვარიანტს.



Code of Ethics

Tbilisi Gestalt Institute strives to maintain high standards of professionalism. We make personal and professional commitment to ethical principles and practice. Specifically we subscribe to the EAGT Code of Ethics, which you can find at the link below:

The Code of Ethics of Tbilisi Gestalt Institute is set out below:

1. Basic Principles

- A. This Code of Ethics regulates the ethical norms of the work of the Gestalt therapist, and the relationship between the Gestalt therapist and the Client.
- B. Gestalt therapist is responsible for the acknowledgement of the principles inherent in the Code of Ethics and shall use this Code of Ethics as the basis of good practice rather than a set of minimal requirements.
- C. Gestalt therapist is responsible for her/his own professional activities and shall organize her/his own work in accordance with this Code of Ethics and in compliance with the laws of Georgia.

2. Competence

- A. The Gestalt therapist will only undertake those tasks where she/he knows, or should know that she/he has the necessary competence to address these tasks and bring them to a completion that is beneficial to the Client's process.
- B. During the working process, the Gestalt therapist, upon discovering the limits of her/his competence, will either refer the Client to another professional or will establish collaboration with another professional/other professionals including seeking supervision how to do this. The first step during this process is the renegotiation of the original contract with the Client. Continuing with the Client means taking the necessary action to improve competence.
- C. The Gestalt therapist examines carefully whether her/his competence can be applied in the field in which the therapeutic work is to take place fully to the benefit of the Client. If the Gestalt therapist determines that the contextual field, its structure, boundaries and the aims that dominate that field to be in any way contradictory or too restrictive to/for the unfolding of the competence that is necessary to further the Client's process, she/he abstains from any further working project undertaken in this field.
- D. The Gestalt therapist seeks support and clarification of her/his difficulty regarding a problematic situation in an intervision context with experienced colleagues.
- E. The Gestalt therapist seeks individual or group supervision, depending on which supervision setting is best suited for support and clarification in her/his situation.
- F. The Gestalt therapist builds networks with members of other professions and institutions (such as clinics) in order to dispose of the necessary diagnostic and therapeutic security and availability of means of help for the Client in case she/he reaches the boundaries of her/his competence or setting.
- G. The Gestalt therapist protects her/his work and the profession in general from any unqualified actions and projects and procedures (lectures, interviews, in the public media, seminars) that are not in correspondence with the professional standards consented upon.
- H. The Gestalt therapist seeks individual therapy in case of turbulence in her/his therapeutic work such as personal crises, signs of burn-out and/or difficulties in safeguarding the boundaries of intimacy and seducement.
- I. The methodological and technical approach in the therapeutic process must serve the therapeutic aims and developmental requirements of the Client agreed upon in the contracting. The Gestalt therapist is aware that any acting-out, especially expressive and cathartic acting-out, requires de-dramatization achieved through detailed and careful working through.



- J. In an educative process lasting a whole professional life, the Gestalt therapist takes care to enlarge and deepen her/his professional and personal competence. The Gestalt therapist is open to important changes that affect this process, whether in the field of Gestalt Psychotherapy or in other fields or schools of psychotherapeutic research and practice, with regard to the benefit of the Clients.
- K. The Gestalt therapist maintains careful documentation of her/his diagnostic and therapeutic work with the Client and takes into consideration appropriate regulations on the duration of document preservation and the security measures required. Careful documenting means corresponding to the national psycho-therapeutic regulations, if any.
3. **Confidentiality**
- A. All communication between the Gestalt therapist and the Client is regarded as confidential, subject to clause 8. "Exceptional Circumstances" of the Code of Ethics.
- B. The record-keeping of the Clients' personal data, including case notes, is subject to the relevant national legal and professional regulations.
- C. The Gestalt therapist takes care that personally identifiable information is not transmitted through overlapping networks of confidential relationships, such as supervision.
- D. When the Gestalt therapist wishes to use specific information gained during work with the Client in a lecture or publication, the Client's or her/his legal representative's informed consent will be obtained and anonymity strictly preserved around names/data through EAGT Ethics code & Complaints Procedure.
- E. When the Gestalt therapist wishes to use specific case material for case studies, reports or publications, she/he obtains the Client's or her/his legal representative informed consent wherever possible and preserves the Client's anonymity.
- F. Video, photo, tape and or any other form recordings of the Client data should be handled in accordance with the legislation of Georgia to preserve confidentiality and anonymity of the Client.
- G. When public or private external institutions, such as law courts, insurance companies etc. request data regarding the Client, the Gestalt therapist follows the laws of Georgia. In doing so, the Gestalt therapist enters into a discourse with the Client and proceeds in a manner that in line with legislation of Georgia and is the most beneficial to the therapeutic process.
- H. When the Client is considered to be a minor according to the legislation of Georgia, the Gestalt therapist applies all the above considerations to the therapeutic relationship. In addition, the Gestalt therapist will conform to the legal and professional regulations existing in Georgia concerning information to child care in cases of abuse or other forms of serious lack of care.
- I. In case, the Gestalt therapist has reasonable doubt or worry about the safety of the Client and/or her/his environment, it may substantiate her/his decision to break the rule on confidentiality and to inform those officials or professionals, who are able to intervene and prevent the assumed danger or risk. The Client needs to be informed about such actions.
4. **Contracting with Client**
- A. Any contract made between the Gestalt therapist and the Client is binding for both parties whether it is written or verbal.
- B. The Gestalt therapist is clear and open regarding her/his competence, expertise and experience when negotiating a therapeutic contract with the prospective Client.
- C. The Gestalt therapist will implement an intake procedure that is compatible with the intake procedures where she/he practices.
- D. Any recording, filming or observation of the therapy sessions will be discussed and a contract made with the Client.
- E. Contract with the Client, whether written or verbal, should explicitly state fees, payment schedule and form, location of therapy sessions, breaks and cancellation of sessions by the Client or the Gestalt therapist. Some examples of breaks could be holidays, other professional commitments, illness, etc. The length of the therapy, the need for referral of the Client and terminations are discussed and agreed with the Client.



F. In the event of a personal crises or physical illness, the Gestalt therapist will engage in supervision as a way of re-establishing the professional relationship.

G. The Gestalt therapist will ensure that during the therapeutic relationship there will be no interaction whatsoever with any person, statement or evaluation, nor evaluations or interests of other persons, regardless of the degree of involvement in the relationship without the approval of the Client. Any changes that occur in the above mentioned conditions will require the re-negotiation of the original contract.

5. Advertising

- A. Advertising will be confined to descriptive statements about the services available and the qualifications of the person providing them. Advertising will not include testimonials, make comparative statements, or in any way imply that the services concerned are more effective than those provided by other colleagues, other schools of therapy or other organisations.
- B. Advertising is subject to Georgian legislation and regulations of legal and professional organizations.

6. Safety

- A. The Gestalt therapist will take all reasonable steps to ensure that the Client suffers neither physical nor psychological harm during the therapy sessions in the physical environment in which the therapy takes place.
- B. The Gestalt therapist will provide privacy for the therapy sessions that will not be overheard, recorded or observed by anyone other than the Gestalt therapist without informed consent of the Client.

7. Exceptional Circumstances

- A. There may be circumstances where the Gestalt therapist need to take action that will protect the Client and/or her/his social environment when she/he is not deemed to be self-controlled enough. In such circumstances the Clients informed consent to a change in the contract about confidentiality will be sought subject to the requirements of legislation of Georgia.
- B. In the event of an individual and/or collective emergency (for example: individual and/or collective danger of life, social disorders, wars, natural disasters etc.) the Gestalt therapist will consider the particular framework, and preserve the Client's autonomy and professional confidentiality if the circumstances allow this.
- C. The Gestalt therapist will protect the Client's autonomy and professional confidentiality in those cases where the psychotherapeutic process has been a part of a broader process concerning the Client's well-being. This is in particular the case where psychotherapeutic work was initiated "on commission" (work in the hospital, work with organizations, work with minors, etc.), or in a team with other health care operators. The Gestalt therapist will clarify the characteristics of this contract at the initial stage of the contract with the Client and other persons/professionals involved and will contact a third party only after the consent of the Client has been obtained.

8. Management of Therapist's Role in Society

- A. The Gestalt therapist is informed of the current legal requirements that apply to her/his professional work and the conduct of her/his practice or institution and is careful to observe the relevant regulations.
- B. The Gestalt therapist abstains from promoting publicly or privately her/his services, formation and professional qualities.
- C. The Gestalt therapist observes Georgian professional regulations in making her/his availability by means of door plates, giving notice of opening of practice in newspapers, telephone directories or in the internet. The public must not be misled that a service or qualification is available which is not in fact offered as this may deprive the Client of using the offer of such a service or qualification elsewhere.
- D. The Gestalt therapist does not withhold information from the Client about the availability of help and professional service through other colleagues and institutions.



E. The Gestalt therapist respects, also in public, the work of other colleagues and abstains from disqualifying remarks about other theoretical models, schools or colleagues in different professional roles.

F. The Gestalt therapist will not accept a task or project in which another colleague is already involved, especially when a therapeutic contract exists between the Client and another therapist. In case of doubt, the Gestalt therapist enters into dialogue with the colleague after having obtained the Client's informed consent.

- G. The Gestalt therapist will not accept economic or personal benefits for referring Clients to another colleague or institution.
- H. The Gestalt therapist who becomes aware of the conduct of a colleague which is likely to bring the field of psychotherapy into disrepute has a duty to confront that colleague and/or their professional organization.
- I. The Gestalt therapist will not engage in official and private activities that might be detrimental to the reputation and ethics of her/his professional conduct and role and the reputation of the profession itself.
- J. The Gestalt therapist is aware of the social and political implications of her/his work and the social and political aspects influencing the contexts of their Clients. The Gestalt therapist will abstain from exerting any kind of influence on the Client concerning the Client's political, religious or other views so as to comply with Human Rights Laws, Regulations, and Policies.
- K. The task of Gestalt Psychotherapy education is to inform those in learning of the theoretical, methodological and technical developments of psychotherapy in general and Gestalt Therapy in particular in an objective and comprehensible manner. Personal views of teachers are to be declared as such.
- L. The Gestalt therapist remains fully accountable for relationships with former Clients and current trainees.

9. **Obligations of Tbilisi Gestalt Institute**

- A. No false expectations are to be awakened especially as far as official recognition of the education concerned by the national authorities and laws regulating psychotherapy training and the permission to carry the title "psychotherapist" as well as the funding of psychotherapy costs by the health service and insurance.
- B. Tbilisi Gestalt Institutes will verify the qualifications, expectations and psycho-physical suitability of candidates and furnish clear and complete information related to the curricula and internal regulations.
- C. Tbilisi Gestalt Institute will guarantee the quality of the education both with regard to the specific competence of those teaching and supervising and to the coherence of the curricula. It provides internal control for the verification of the quality of the education and furnish space and place of updating and comparison of teaching methodology.
- D. The relationship between teachers and students and Tbilisi Gestalt Institute will be clear and properly documented in the form of legally binding contracts in accordance with the legislation of Georgia.
- E. Teaching Gestalt therapists are conscious of the specific characteristics of role relationship between those teaching and those learning and do not misuse this relationship to their own advantage. They are especially aware of the dimensions of dependency, idealization, and assessment relevant in this relationship. Tbilisi Gestalt Institute will provide directives guiding the teacher-student relationship and a forum where problems can be addressed and resolved.
- F. Tbilisi Gestalt Institute will periodically verify whether a student has attained a satisfactory level of training and provide transparent and structured format to so do.
- G. The ethical principles of guiding and regulating the Client-therapist relationship and the management of the therapist's role in society are equally relevant to the field of teaching and training and to teachers and students (competence, confidentiality, relational issues, contracting and safety).



H. The Gestalt learning therapy of a student will be protected from possible turbulence created by role confusion on the part of the teaching therapist who will abstain from taking part in the official assessment procedure foreseen to evaluate the progress and suitability of her/his student.

- I. Tbilisi Gestalt Institute controls and secures adequate personal, didactic, clinical and scientific standards in their teaching personnel. The professional exchange among teaching therapists, their necessary supervision and further training and development has to be secured.

10. Conflict of Interest

- A. If the Gestalt therapist finds himself/herself in conflict between different or several ethical positions and requirements and cannot solve this conflict himself/herself or with the help of intervention and supervision, she/he addresses himself/herself to Tbilisi Gestalt Institute and/or the ethical committee of professional association in order to get the necessary counselling.

11. Legal Proceedings

- A. Any Gestalt therapist who is a member of the EAGT and is convicted in a court of law for any criminal offence or is the subject of a successful civil action by the Client will inform the EAGT Executive Committee.
- B. Any Gestalt Practitioner in organisation who is a member of the EAGT and is convicted in a court of law for any criminal offence or is the subject of a successful civil action by the Client will inform the EAGT Executive Committee.

This Code of Ethics is made in Georgian, English, and Russian languages. In the event of any ambiguity, Georgian version shall prevail.